



სპექულანტი-უნივერსალი

გამოსვლის 56-ე წელი, (N- 1568) • მარტი, 1980, ფასი 20 კპზ.

სიკვლე

6



საქართველო
მთავრობის აპარატი

თხოვნა

— ვალიკო, ჩემმა ბიჭმა სკოლა დაამთავრა და მომიწევს საღამე სამუშაოზე!

— კი, მომიყვანე! დღეში ოთხმოცდაათმანეთიანი იქნება.

— მასე არ მინდა. გამიფუჭდება შვილი!

— აბა, რა გინდა?

— ასე, 70-75 მანეთი რომ ჰქონდეს თვეში!

— მასეთ სამსახურს, ჩემო იასონ, დიპლომი უნდა!

პრეზიდენტი
ინტერვიუ

კორესპონდენტი:
როგორი მოსავალი მიიღეთ წელს?

თავმჯდომარე: უდნაკარგო. ერთი ტომარა კარტოფილი დავთესეთ და ზუსტად ერთი ტომარა ავიღეთ!

რ. ოსაფიშვილი



ნანა ალიბაშვილის ნახ.

დღისით-მზისით თბილისის ქუჩებში

საპირველადი სურათები. II...

1979 წლის 16 იანვარს, ღამით, სამი ნიღბოსანი უახლოვდებოდა წყალტუბოს რაიონის სოფელ მუხიანში მცხოვრებ თამარ და ვენერა ბაბუნაშვილების სახლს!..

დამნახავი იფიქრებდა, ეს ახალგაზრდები ძველი სტილით იყენებენ ახალ წელს და მასკარადზე მიდიანო. მაგრამ დამნახავი არავინ იყო და გარეწრები გაბედულად დაესხნენ თავს მარტოხელა ქალებს, სასიკვდილოდ სცემეს მათ ფულის გამოძალვის მიზნით!..

ბაბუნაშვილები მხოლოდ შემთხვევამ გადაარჩინა!..

წყალტუბოს რაიონის პროკურატურამ საქმე ვერ გასხნა, დანაშაულში ეჭვმიტანილმა ალიბი მოიშველია!..

ქალებმა, როგორც კი ცოტა მოიმჯობინეს, მაშინვე რესპუბლიკის პროკურატურაში აფრინეს საჩივარი და აი, პასუხიც, რომელიც 1979 წლის 3 აპრილით არის დათარიღებული:

„წყალტუბოს რაიონის პროკურორს, იუსტიციის უმცროს მრჩეველს ამხ. ო. წულაიას

ასლი: თამარა სერაფიონის ასულ ბაბუნაშვილს მცხ. წყალტუბო სოფ. მუხიანი გეგზავნებათ თ. ს. ბაბუნაშვილის განცხადება გოლუაძის ავტოავარიით დაღუპვის საქმესთან დაკავშირებით.

გთხოვთ შეამონმოთ და მომჩივანს უპასუხოთ.

საგამომძიებლო სამმართველოს პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი ჯ. ლარცულიანი“. (სტილი დაცულია!)

ვიმედოვნებთ, რომ ასეთი „გულისხმეერი პასუხი“ ერთხელ და სამუდამოდ დაარწმუნებდა მომჩივანთ პროკურატურის მუშაკების ოპერატულობაში და საქმისადმი მათ სიყვარულში, იმედს აღუძრავდა, რომ სიმართლე აუცილებლად იზეიმებს!

მინაწერი: ჯ. ლარცულიანის პასუხის შინაარსი ნიანგს აფიქრებინებს, რომ იგი პირველ აპრილს უნდა იყოს დანერგილი და, რატომღაც, ორი დღის შემდეგ გაგზავნილი. სჯობდა კი, რომ იმავე დღეს დეპეშით გადაეცათ. მაშინ წყალტუბოელებიც სწორად გაიგებდნენ, რომ იგი საპირველადი სურათი და არა საქმიანი ქაღალდი!

ნიანგა გადაწყვიტა, მორბენალთა ნაკრები დააკომპლექტოს დიდი პრაქტიკისა და სტაჟის მქონე სპრინგერებით.

ამ მხრივ ყველაზე იმედისმომცემ სპორტსმენებად გვესახებოდა ოჯახებიდან გაქცეული ქმრები, რომლებიც წლების განმავლობაში შეუსვენებელი ღაბღიანი და არავითარი დაბრკოლების გადალახვას არ უშინდებოდა. ხანგრძლივად ნავარჯიშები ეს მორბენლები, ყოველგვარი მომზადების გარეშე, იოლად დასძლევდნენ მოკლე და გრძელ დისტანციებზე გამართულ ამანატორებს.

აი პირველი კანდიდატები:
გიორგი ღიანოშის ა ავაიძე — ორი ათეული წელია, დარბის; საკმაოდ დიდ სიჩქარეს ავითარებს, ხშირად იცვლის ადგილს (სარბენ ბილიკს), მაგრამ ამანათის (იგივე ალიმენგის) გადაცემა უჭირს, არ ემეგება სიძუნწის გამო, თუნდაც მის გამოსართმევად ღვიძლი შეილები უწვდინდნენ ხელებს. მიუხედავად ამ პირუტყვული ნაკლისა, ნიანგს მიაჩნია, რომ სათანადო წვრთნის შემდეგ გიორგი დროულად გადასცემს ალიმენგს თავისი გზის გამგრძელებლებს, მით უმეტეს, რომ მისი სამი შვილი მარგო სპორტული გზისა კი არა, აფაქიძის სიცოცხლის გზის გამგრძელებლებიც არიან.

მალაქი ანდრიაშვილი — გამოცდილი მორბენალია; გაურბის წყვილ ცოლ-შვილს და საკმაოდ დიდ შედეგებს აღწევს: ამანათ-ალიმენგი მასაც არ ემეგება თავისიანებისათვის გადასაცემად; ამასთან, გამოცდილების მანიაც სჭირს — ხშირად უკან იხედება, არავინ წამტაცოსო და, ადვილი შესაძლებელია, კისერი წამტაცოსო. ამიგომ ნიანგის, როგორც მწვრთნელის, უპირველესა მოვალეობაა, გრიგორიანს ქეჩოში ჩაავლოს ხელი და ისე ასწავლოს კლასიკური ამანატორები.

ალგარტ მიხეილის ა ჯახუა — დაბრკოლებას კარგად უღებს ალღოს და იოლად, თანაც დიდის სისწრაფით შეუძლია მისი გადალახვა; პირველად ორშვილიანი მეუღლე მიიჩნია დაბრკოლებად, ეს წინააღმდეგობა შესაშურის გამბედაობით გადალახა და შეილებსაც არც მოუხედავს უკან, წინ გაექანა, მაგრამ სარბენი ბილიკი წრიული აღმოჩნდა და კვლავ ოჯახთან მიიყვანა. აქ, მცირე შესვენების შემდეგ, უფრო დიდ შედეგს მიაღწია: ამჯერად უკვე სამშვილიანი მეუღლის წინააღმდეგობა გადალახა და რბენა განაგრძო.

ყურებდაცქვევტილი დარბის, ამიგომ სულ იოლია მისთვის ყურში ხელის ჩავლება და ნაკრებში მოყვანა. (ნაკრებში მოყვანა ჭკუაზე მოყვანასაც გულისხმობს!).

გულაქ აპოლონის ა მიმინოშვილი — თავჩაღუნული რბენის შესანიშნავი ოსტატი. პირველ დაბრკოლებას (მეუღლე და პატარა გოგონა) მიმინოსავით გადაუფრინა, მეორე დაბრკოლებას (ქუთაისის სახალხო სასამართლო) შორიდანვე აუღო ალღო და უმტკივნეულოდ გადალახა, მაგრამ ქვაგული დაუმიძიდა, ფინიშამდე ვეღარ იარა და შესასვენებლად ჩამოჯდა... საბრალდებულო სკამზე.

ნიანგს მიაჩნია, რომ მომავალ შეჯიბრებამდე იგი კვლავ დაიბრუნებს დაკარგულ სპორტულ ფორმას და თავის ადგილს დაიკავებს იდეალურ ნაკრებში.

მაყურებლებს ვთხოვთ, სარბენ ბილიკებზე ამ მორბენლების გამოჩენას შეხედნენ შეძანილებით: „მამიკო!.. მამიკო!..“

ამის გაგონებაზე ისინი აიწყვეტენ და, შეიძლება, რეკორდულ შედეგებს მიაღწიონ!

ნაკრებისთვის კანდიდატები შეარჩია **ვასილ სვალაძე**

შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა

— ტაფა სუფთაა?
— კი, როგორ არა, გუშინ საღამოს ხომ დავხეხეთ ყველაფერი!
— ზეთიც გეშოვებათ, ალბათ.
— ზეთიც არის, მაგრამ დღეს ერბოში ვაკეთებ.
— კარტოფილს ვინ დათლის?
— ინგა თლის უკვე, შენ კი მანამ ხახვი მოამზადე, ნონამ ისეთი ვინაგრეტი გააკეთა მაიონეზით, რომ თითებს ჩააკნეტ. რეზომ და ნუნუკამ კუბატები მოიტანეს გასტრონომიდან.
— მე კიდევ იმერული კეცის მჭადები მაქვს წამოღებული.
— ოჰო, ამას ცოტა ადესაც მოუხდებაო.
— ადესის რა მოგახსენო, მაგრამ შალვას ექნება ღარჩენილი მანავის მწვანე და მეტი რა გინდა?!
... და დაიწყო შესვენება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

ნუგზარ ბარდაველიძე

ს ა ქ ო ნ ე ლ ი მ ო ვ ი დ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქუთოუკი რა ზომაა?
— ორმოცდაათი, სუფთა ლაიკაა!..
— შარვალი?
— ორმოცდაორი.
— პერანგი?
— ოცდაათი.
— ლიფი?
— ოთხი. არ თქვა ასლა, უნდა გავიზომოთ!
— გადასარევი ჩექმებია, რა ღეზები აქვს!.. რა ღირს?
— ოთხასი.
— გასაგიჟებელი ფასებია! თუ კარგად მექნა, ავიღებ!
— ღუბლითნკა ჩემს გოგოს კარგად ექნება!.. ნაცრისფერი არა გაქვს?
— შეიძლება, მალე მივიღო!
— მაგრიფი არა გაქვს?
— სიკიმი მაქვს.
— პულოვერი რა ღირს?
— ოთხმოცი, სუფთა შალა!
— რომ ვიცოდე, ვალიკოს კარგად ექნება, ავიღებდი.

— ჯინსის კაბა უნდა გავიზომო!.. მისდება?
— ძალიან გისდება, აუცილებლად აიღე!
— ვიღებ!
— პოლსაპოუკებს მე ვიღებ.
— ჩემი გოგო გიუღება ჯინსზე!
— ჩემიც!
— გადასარევი ფერია!
— ღირეცტორი მთლის! საქონელი სასწრაფოდ ჩემოდანში ჩაყარეს, და კარადაში შეინახეს. ლაბორანტები, უმცროსი და უფროსი მეცნიერი მუშაკები, ხარისხიანები და უხარისხოები მაგიდებთან დასხდნენ და მუშაობას შეუდგნენ. ხუთი წუთი სამარისებური სიჩუმე იდგა.
— წავიდა!
თანამშრომლები წამოცვივნენ და ჩემოდანი გახსნეს...
— ლიფს მე ვიღებ!..

ნ. გობრისყელაშვილი

ნახ. გ. შირიკაშვილის



1380

— რით ხარ შენ ანიმოს ქმარზე ნაკლები, რომ არც სვამ, არც ეფევი, არც თანამდებობა გაქვს და არც ქრთამს იღებ?

ან გაუპატიურების მცდელობის?!
— გაეცინა მთხოვნელს და სა-
ოცრად თეთრი, ჯანმრთელი კბი-
ლები გააღწია. — ეს უკანასკნე-
ლი ნამეტანი იქნება, არ შემეფე-
რება, — ხმას დაუნია და გამოძი-
ებულს ჩურჩულით უთხრა: —
უნდა გაისარჯოთ და დღეს, ან
ხვალ უნდა დამაპატიმროთ!
ტყუილად კი არ მინდა, პატივს
გცემთ! სამაგიერო ჩემზე იქნე-
ბა!

რეზო ხამაშურიძემ ოცი წელი
იმუშავა პროკურატურაში და
ასეთი გაიძვირებოდა ჯერ არ
ჰქონია საქმე.

„რა მოხდა, ნეტავ. აქ რაღაც
სხვა ამბავია! ეს კაცი ასეთი მია-
მიტი ჩიტიც არ ჩანს! გაყვამ?
ვაითუ, შანტაჟზეა?! არ გაყვამ,
შეიძლება, სხვასთან მივიდეს და
სულ გაფუჭდეს საქმე! არადა
ხომ შეიძლება, მართლს ამბობ-
დეს? შეიძლება, ვითომ მართა-
ლი იყოს ეს ყველაფერი?! შეიძ-
ლება, მართლა უნდოდეს ჩაჯ-
დომა? მაშინ სხვებს რატომ
აფარებს ხელს? ან რა ხელის
დაფარებაა, ჩემთან უკვე ყველა-
ფერი თქვა. ხვალისთვის რომ და-
ვიბარო? ვაითუ, ეჭვი აიღოს და
ალარ მოვიდეს? ასე პირდაპირ
ვერ ჩავსვამ, უფლება არა მაქვს...
— საბუთი გაქვთ რამე?

უცნობმა პასუხი და პირა-
დობის მონობა გაუწოდა. ყვე-
ლაფერი წესრიგში იყო.

გამომძიებელი შეჰყურებდა
უცნაურ დამნაშავეს და ვერ
გადაეწყვიტა, როგორ მოქცეუ-
ლიყო...

მეორე დღეს, ბრალდებას
რომ ეცნობოდა, დამნაშავე ილი-
მბოროდა: „კარგია, კარგად მოგი-
ფიქრებიათ! — შიგადაშიგ ჩაუ-
რთავდა იგი, — ტექნიკური უსა-
ფრთხოების წესების უგულვებელ-
ყოფისა და ორი ჰამაკის დატაცე-
ბისათვის რომ მაძღვეთ პასუხის-
გებაში. რა ტყუილად ჩაუსვამთ
კაციო, მთელი ქალაქი ჩემზე
ილაპარაკებს. თუ მეტს ვერა-
ფერს უმტკიცებდნენ, რაღაზე და-
იჭირეს და რაღაზე ასამართლე-
ბენ, მორევებზე ხომ არაა საქმეო.
ხომ იცი, უმეტესობა დაჩაგრუ-
ლის მხარეზეა ყოველთვის.

ბრალდებული უსაზღვროდ
კმაყოფილი იყო.

დაპატიმრების უწყის ხელს
რომ აწერდა, რეზო მამინც გა-
უძნელა საქმე:

— მომეწონე გუშინ! კაი კაცი
ჩანხარ, თორემ ამისთვის მეცალა
ახლა მე?! ნათლულის ქორწილ-
ზე არ წავედი და ამას ვწერდი
მთელი საღამო. ზოგი აყვია რომ
იტყვის, მთლად ისე კი არაა
ჩვენი საქმე. კაცური კაცის პა-
ტივისცემა ჩვენიც ვიცით. ხვალ-
დან ჩაჯდებით, დღეს ნაბრძან-
დით სახლში, მოემზადეთ, თბი-
ლები ჩაიცვით! ხვალ დილით
თქვენ არ შენუხდეთ, მანქანას
გამოვგზავნი!

მთხოვნელი რომ გავიდა, გა-
მომძიებელი ტელეფონს დასწვდა.
რეზო ხამაშურიძე ფრთხილი
კაცი იყო.

რეზო ხამაშურიძე



— თუ კაცი ხარ, ეს პაპა საწყობში ჩაიტანე და იქ კი ნაღად იყი-
დის ჩემი ცოლი!

„გ ა ფ უ ჭ დ ა ხ ა ლ ხ ი!“

პანორამული პიესა

სცენა წარმოადგენს სახლილოს. მაგიდას უხ-
ედან შალვა და ბარისო.

შალვა: — ბარისო, იმ შენს კაი დედ-მამას
გაფიცე, სიმართლე მითხარი: შენ დაანებე
თავი სამსახურს, თუ მოგხსნეს?

ბარისო: — შენ რავე ფიქრობ, ჩემო შალვა?

შალვა: — მოგხსნეს, მოგჭიშტეს ჩემსავით!..
კი, ხომ?

ბარისო: — არა, ბიჭო, ჩემი ნებით წამოვი-
დოდი!

შალვა: — კი მარა, რანაირად ვერ ჩააწყვე
მაგი საქმე შენ? პირველი ხომ არ იყო?

ბარისო: — შენ რატომ ვერ ჩააწყვე, რატომ
მოახსენევენ თავი?

შალვა: — ახალი უფროსი მოვიდა, მოგვდა
და დაგვფერტხა ასე უღმერთოდ!

ბარისო: — ბაყათაროვიჩის არ დაარეკენ?

შალვა: — სადღა ბაყათაროვიჩი?! კვესიას
დავარეკენ ტრესტიდან, მაგას ნათესავად ერ-
გება!..

ბარისო: — მერე?

შალვა: — გაგიგონია?! ეგპ! (ხელს ჩაიჭნევს
და ღვიწმინდას დასხამს) ხალხმა ალარც ნათესაობა
იცის, არც მოყვარე და ნათელ-მირონი!.. სად-
ღაა სინდის-ნამუსი?! შენ რაღა მოგივიდა?

ბარისო: — ვითაც ახალი რევიზორი გამო-
გზავნეს, ცხვირმოუზოცლო ლაწირაკი. ესაო,
ისაო, იპარავთო, ქურდობთო, ხალხს ატყუებ-
თო, უნდა დაისჯათო!.. პირველი ხომ არ
იყო, ყველა რევიზორი ასე ამბობდა, ჩემო
შალვა, თავიდან! მერე, იცოცხლე, ბრუდერ-
შაფტ — სულ ვანტანებოდა ყოფილა!

შალვა: — არ გამახსენო!..

ბარისო: — ჰოდა, იმ ლაწირაკს, ვიფიქრე,
ნახევრის ნახევრით დავამამ-მეთქი. შევთავაზე
— სიბრაზისაგან ფერი დაკარგა! იცოტავა-
მეთქი, ვიფიქრე და სტავკას მოვეუმატე — კი-
ნაღამ ხელი გამართყა! თქმში ისიც. ჩაწერა:
ფული მაძლიათ. წარმოგიდგენია?! მაგარი
უსინდისოსა და მათხოვარს ჩემს დღეში არ
შევხვედრებოდა!.. მოხსნას ვინ ჩივის, პროკუ-
რატურაში საქმე და ხვალ-ხვალ სასამართლო იქ-
ნება!

შალვა: — პროკურატურაში და სასამართ-
ლოშიც აღმანიებნ სხედან!

ბარისო: — ისხდნენ, ჩემო შალვა, ისხდნენ!..
სადღა ის კაცური კაცები?! გახსოვს, სერგოს
ათწლიანი საქმე პირობით რომ შევეუცვალეთ?
ათი კი დაგვიჯდა, მაგრამ კაცური საქმე გაკე-
თდა! ამას წინათ ჩემი დისშვილის სასამართლო
იყო. მანამდე მოსამართლესთან კაცი მოვიდნენ
და ვთხოვე. მუხლი 5-დან ათ წლამდე აქვს
მიყენებული! ბევრს არ გთხოვ, 5 წელი მიეცი
და ა, შენ ხუთი-მეთქი... კინაღამ მე დამიჭირა!

გალარევას ვარ, საღ შეიყარა ერთად ამდენი
უსინდისო და არაკაცი!

შალვა: — კი, ძაან გაფუჭდა ქვეყანა! ჩემი
ბიჭის უმაღლესში მოწყობა, ხომ იცი, რა და-
მიჯდა, მარა მაგას ვინ ჩივის?! მერეც რამდენი
საგანი ჩავაბარებინე ჩემი მარიფათით?! ახლა,
რაღაცა ჯანდაბა ფილოსოფია აქვს ჩასაბარებე-
ლი, ვინ არ მივეუზგავნე ლექტორს, ქვა ააგლო
და თავი შეუშვია: თუ არ იმეცადინებს, ნი-
შანს არ დავუწერო! გინახავს მაგარიო უსინ-
დისო?! თუ იმეცადინა და მოამზადა, პროტექ-
ცია რაღა ჯანდაბად მინდა?! არადა, ქვე უპა-
სუხია ბავშვს: ნახტომის ფორმები შეხვედრია
და უთქვამს, მრავალნაირი ნახტომი ვიციოთ —
სიგრძეზეო, სიმაღლეზეო, სამმაგი ხტომაო,
ჭოკითო და, რა ვიცი. ლექტორს გაცივებია და
ორიანი დაუწერია.

ბარისო: — უსინდისო კაცი ყოფილა!

შალვა: — ძაან გაფუჭდა ხალხი!.. ამ ზაფ-
ხულს ლენინგრადში ვიყავი, არონას საქმეზე
ერთ ადგილას იმხელა რიგი იყო, გამიკვირდა,
ვიკითხე, რას არიგებენ-მეთქი და ერთმა მით-
ხრა, ეს ერმიტაჟია, შეგნით ნახატებით ჰკილია
და ეს ხალხი მათ სანახავად დგას რიგშიო.
ფრაფრა მინახა, მისი ქკუთი. აბა, თუ წარმოიდ-
გენ, რომ რაღაცა ნახატების სანახავად კაცი
მთელი დღე ღია ცისქვეშ იდგეს რიგში?

ბარისო: — გიჟი ხარ?

შალვა: — ჰოდა, მეც ვიყნოსე, რომ რაღა-
ცას იტყუებოდა. მივედი და კარისკაცს ვეკით-
ხები, აქ მართლა ნახატები ჰკილია-მეთქი? მარ-
თლაო, მითხრა და ჩაეცინა... დაავადე თუმნი-
ანი და ვუთხარი, თუ მართლა ნახატებისთვის
დგას ეს ხალხი, აბა, თუმანი, ერთი რომელიმე
ნახატი გამოიბრებინე, მაჩვენე და ისევ შეი-
ტანე-მეთქი. ვაა, ერთი გენახა, რა დაემართა:
თვლები გადმოკარკლა, აყვირდა, მილიციას
დაუძახა... ძლივს გადავტრჩი დაქვარას!.. ისე
წამოვედი, ვერ გავიგე, რას არიგებდნენ!

ბარისო: — ეგპ! სინდისი დაკარგეს, სინდისი!

შალვა: — მოდი, სინდის-ნამუსს გაუმარჯოს!

კაცური კაცის სადღევარძელო იყოს!

ბარისო: — გაუმარჯოს! (ჭიჭებს უჭახუნებენ.

გაიხმის ჭეჭა-ჭახუნის ძლიერი ხმა. სცენაზე
ჭრება სინათლე).

შალვა: — ეს გვინდოდა ახლა ჩვენ კიდევ?!
ალარ ყოფილა ჩვენი სამველი და ეგ არის!
(ისევ გაიხმის დიდი ქარიშხლის მაუწყებელი
ჭეჭა-ჭახუნის ძლიერი ხმა. შალვა და ბარისო
შეშინებულნი გარბიან).

ფარდა არ ეშვება

ლარი ჩანტლაძე

„ნიანგის“ 1979 წლის 21-ე ნომერში
დაბეჭდილი წერილი — „მე ვარ და ჩემი აბანო...“ —
სინამდვილეს ასახავს.

წერილში აღნიშნულ ფაქტებზე იმსჯელა ჯერ ნეგა-
ტიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის რაიონულ-
მა კომისიამ, შემდეგ სახალხო დეპუტატების ქარელის
რაისბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმარ-
თველში.

ქარელის კოლმეურნეობის გამგეობის თამგლომარე
დ. ნადირაძეს გამოეცხადა საყვედური იმისათვის, რომ
მოქ. უ. შავდათუაშვილის საშუალება მისცა კოლმეურ-
ნეობის ტერიტორიაზე (მაშინ ზემოხვედრეთის კოლ-
მეურნეობა შეერთებული იყო ქარელის კოლმეურნეო-
ბასთან) უნებართვოდ აუშენებინა სამკურნალო აბანო.

საყვედურები გამოეცხადა ზემოხვედრეთის კოლ-
მეურნეობის მთავარ ბუღალტერს ა. არსოშაშვილს და
მთავარ ეკონომისტს თ. იაკობაშვილს.

ზემოხვედრეთის კოლმეურნეობის გამგეობამ ძი-
რითად ქონებაში აიღო აბანოს შენობა და გაატარა
სხვა საჭირო ღონისძიებანი აბანოს რეკონსტრუქციისა
და შემდგომი ექსპლუატაციისათვის.

სამგზავრო ავტოსადგომის რესპუბლიკური
საწარმოო გაერთიანება:

„ნიანგის“ 23-ე ნომერში სათაურით — „ნიანგის
მეშურები“ — გამოქვეყნებულ წერილში მოტანილი
ფაქტები რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქში ავტოსად-
გომების კეთილმოწყობლობისა და ავტობუსების
მძღოლთა მიერ მგზავრების უბიძგოვანად გადაყვანის
შესახებ, სინამდვილეს შეეფერება.

არსებული ნაკლოვანებებისა და დარღვევების დრო-
ულად აღმოფხვრის მიზნით გაერთიანებამ მრავალი
ღონისძიება დასახა: კასპის ავტოსადგომის შენობისა
და მიმდებარე ტერიტორიის შეკეთება-რეკონსტრუქ-
ცია დასრულდება მიმდინარე წლის პირველ ნახევარ-
ში; კაპიტალურად შეკეთდება ქუთაისის ავტოსადგო-
მის შენობა, კეთილმოწყობა ავტოვაგზალი; ქალაქ
ზესტაფონში, განვითარების გენერალური გეგმის მი-
ხედვით, გათვალისწინებულია ავტოსადგომის სხვა
აღვივებულად აღდგენა.

წერილში მოტანილი ფაქტების გადამოწმების შე-
დეგად, მგზავრთა უბიძგოვანად გაყვანისათვის დაისაჯ-
ნენ ქუთაისის ავტოვაგზლის კონტროლიორები თ. ბა-
ბუნაშვილი და შ. ფრუიძე, დისპეტჩერი ლ. კოკელაძე.
აღნიშნული წერილის ირგვლივ გატარებულ ღონის-
ძიებებზე რედაქციას მოსწერეს აგრეთვე ზესტაფონის
რაისბჭოს აღმასკომმა და აჭარის ასსრ ავტოსატრან-
სპორტო საწარმოო გაერთიანებამ. კორესპონდენცია
„ნიანგის მეშურები“ განიხილა აჭარის ასსრ ავტო-
სატრანსპორტო გაერთიანების პარტიულ-სამეურნეო
აქტივის კრებამ და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანე-
ბათა აღმოსაფხვრელად.

სენაქული

ჩაპკირკიტებს არხას,
შუქს გაურბის მზის,
თუ

ტყემალზე არ ზის,
მაშინ
ჭურში ზის.

პანტანო ჯავახაძე

ნიანგის სპაგოპიკური სწოვა

წლებანდელი სა- 250 მილიონ 800 ათა-
თამადო წლის I კვა- სის ნაცვლად, დალიეს
რტალში ჩვენმა თამა- და თანამეზუფრეებს
დებმა ხალხმრავალ, ძალით დააღვინეს
გაუთავებელ ქელებზე- 472 მილიონ 826 ათა-
ში, ქორწილებში, ნათ- სი სადღეგრძელო.
ლობებში, კამპანიებ- სადღეგრძელოების
ში, წვეულებებში და დაძალება გრძელდება.
დაბადების დღეებზე,

ნიანგის

(პოლონეთი)

ნიანგის უარი სპიხური

იმა წუთში მივხვდი, რომ აქ რა-
ღაც ხდებოდა. გამოიდგელი საეჭვოდ
ზრდილობიანი ჩანდა, ჩემს დანახვაზე
წომს სულ გაიფურჩქნა.

— ეს რა არის? — მივუთითე თაროს-
კენ რაღაც ნაქსოვზე.

— სვიგრია, მოგართვით?

— რა?! იყიდება?!

— რა თქმა უნდა, 660 ზლოგი
ღირს.

— ასე იაფია?! წუნი ხომ არაფერი
აქვს?!

— არა, ასე ღირს.

— უკაცრავად, შეიძლება, ახლოს
ვნახო?

— ინებეთ! — გამიღიმა გამოიდგელ-
მა.

— კარგი შალი ჩანს, ფერიც თითქმის
არაა სტანდარტული. იმპორტულია?

— რა თქმა უნდა, აბა, აქ საიდან
მოხვდებოდა?

— რა?! ექსპორტიდან ჩამოწერეს?!

— როგორ თუ ჩამოწერეს?!

— მოითმინეთ, ვერაფერი გავიგე,
წუნი და მაინც არ ჩამოწერეს?!

— რატომ არის წუნი?! — განაწყენ-
და გამოიდგელი.

— აი, აქ კი დავიჭირე!

— თუ წუნი არ არის, მაშ, აქ რატომ
ყიდით?!

— მოითმინეთ, ბატონო, აქ ჩვენ უმა-
ღლესი ხარისხის საქონელს ვყიდით,
ყოველგვარი წუნის გარეშე!..

— რაღაც ასე არ უნდა იყოს!

— აშკარად რაღაცას მალავდა.

— თუ ამ სვიგრის არც წუნი აქვს და
არც ექსპორტიდანაა ჩამოწერილი, აქ
რატომ იყიდება?!

— არავითარი ჩამოწერა! რისთვის
უნდა ჩამოწერათ? ძალიან კარგი
სვიგრია, იმპორტული, ინგლისური.

— ინგლისური?! მაშ, ინგლისური?!

— დიახ!

— იქნებ სხვა სახელმწიფოებმა რა-
ღაც წუნისათვის უარი თქვეს მასზე და
ჩვენამდე იმიტომ მოაღწია?!

— არა, ბატონო! არავითარი წუნი,
არავის არ უთქვამს უარი!

— თუ წუნი არ არის, ჩვენ რატომ
მოგვყიდეს?! რა ანგარიშით?! რა მიზ-
ნით?! იქნებ თავს მოგვახვეს და რა-
ღაცასთან ერთად მოგვყიდეს?!

— არავითარი რაღაცასთან ერთად,
ჩვენი სურვილით ვიყიდეთ.

— ჩვენი სურვილით, არა?! თანაც
უწუნი, მაღალი ხარისხის! რა მიზ-
ნით, მე თქვენ გეკითხებით, რა მიზ-
ნით?!

— რა მიზნით და, თქვენაირმა მყი-
დველმა რომ შეძლოს კარგი ინგლისუ-
რი სვიგრის ყიდვა.

— აშკარა იყო, ან ჩემი „აყვანა“ უნ-

და, ანდა, უბრალოდ, შვერად ჩამ-
თვალა.

მე, რა თქმა უნდა, შევეცადე, არ
ჩავვარდნოდი ხელში და იქით დამე-
გოვებინა მშრალზე.

— კეთილი! ამ საქმეზეც წავალ! —
მივმართე გამოიდგელს, — ჩავდგები
რიგში და იმედი მექნება, არ დამივიწყ-
ებთ, როცა გაყიდვას დაიწყებთ.

— გაყიდვა ჯერ კიდევ დილის 11-ზე
დაიწყო.

— რა?! რიგი ეზოდანაა?!


— არავითარი რიგი არ არის!

გავშეშდი. ამდენს აღარ მოველოდი,
მაგრამ მაინც მაინტერესებდა, რა ინა-
ლემოდა მისი სიგყვების მიღმა.

— თქვენ რა, ამ სვიგრის დახლს ქვე-
მიდან მთავა... რა?!

— როგორ გეკადრებათ?! რაა დასა-
მალი?! ინებეთ! —

— მაპატიეთ! — განსაკუთრებული
გრძნობით მოვუბოდიშე, — მე მესმის,
რომ ყველას გვინდა ცხოვრება, თქვენც,
რა თქმა უნდა. იქნებ ვიყიდო კიდევ
ეს სვიგრი, მაგრამ ჩემი პატიოსანი



შრომით ნაშოვნი ფული არ მინდა წყა-
ლში გადავყარო. თქვენ მხოლოდ მით-
ხარით, რა წუნი აქვს, და მე ვიცი
თქვენი პატივისცემა!

— არავითარი წუნი, არავითარი დე-
ფექტი, სვიგრი უმაღლესი ხარისხისაა!
ამევსო მოთმინების ფიალა.

— უწუნიო, არა?! უმაღლესი ხარის-
ხისაა, თანაც ურიგოდ! სწორედ იმი-
ტომ ჩამოიგანეს ინგლისიდან, რომ ეს
მწვენიერი, ძვირფასი სვიგრი თავია
ფასად მომერთვის?! თქვენ, რა, მთლად
სულელი გგონივართ?

— ღმერთო ჩემო, რას ბრძანებთ?!
არა, ბატონო!

— მაშ, დამცინით, არა?! ჩემი აყვანა
გინდათ, არა?! იქნება ჩემი ზომაც გა-
მონახოთ?!

— ინებეთ, ბატონო, ყველა ზომა
გვაქვს!

— მორჩა! აღარ გეთამაშებით! აქ მე
სვიგრის საყიდლად მოვედი და არა
სამასხაროდ. კარგად ბრძანდებოდეთ!

— თქვენც კარგად... გმადლობთ ყუ-
რადღებისათვის, კიდევ შემოირაეთ! —
მწვიდად მომიგო გამოიდგელმა.

მაღაზიის კართან მივედი და ზღურ-
ბლთან შევედექი.

— მაპატიეთ, ქალიშვილო, თქვენ
ცოცხა ახალგაზრდა ხართ იმისათვის,
რომ ასე მელაპარაკოთ! როგორ მიბე-
დავთ, კიდევ შემოირაეთო? მე პატი-
ოსანი კაცი ვარ და თქვენი დასაცინი
არაფერი მჭირს!

თარგმნა მარი გველსიანაძე

ჟ. ლოლუას ილუსტრაციები



ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ცინცინატიში მცხოვრები ვინმე გრენკონი ქუჩაზე ჩებში დასერილობს... საკუთარი ტანკით, რომელზეც "გენერალ" ფასეში შეიძინა.


78187

— რატომ უსხამ გენერალს პრიზმდ?
— რემ არ აგვაფთქოს!

ნ.ს. ზ. ლომიძისა

ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობს საზღვარგარეთ თავისი სამხედრო ბაზების ქსელის განმტკიცებისა და გაფართოების პოლიტიკას. მთელ მსოფლიოში მოღებულ მის 2.500 ბაზას ათასობით ამერიკელი სამხედრო ემსახურება.

ამერიკული ტრიპტიქი



„აქა კას კლა“ და „ბილი“

შპრინგერის გაზეთი „ბილი“ — უკიდურესი დასავლეთგერმანული რეაქციის საუკირო — რიხსუდ დაატყდა თავს... შიდდელს. თურმე, ნუ იტყვი და, ვინმე პასტორმა ჰაინრიხ ალბერცმა, ტელევიზიით გამოსვლისას, ქრისტიანებს ზამთრად მოუწოდა, გადაჭრით დაუჭირონ მზარი განიარაღებას, რამეთუ სწორედ ეს გზა გამოხატავს „დროისა და ღვთის ნებას“ და არა ახალი მომავლინებელი იარაღის წარმოება.

უბედო, ბულვარული ნაჭლაბნების გაზეთი იმანაც გააცოფა, რომ პასტორმა დასავლეთგერმანულ ქრისტიანებს დაუსახელა მაგალითი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მცხოვრები მათი ერთმორწმუნეებისა, რომელთაც საშუალო მანძილზე მოქმედების ამერიკული

რაკეტების განლაგების წინააღმდეგ აღიმაღლეს ხმა. ჰოდა, შეეძლო ამის მოთმენა „ბილს“? მან მყისვე დაადანაშაულა ალბერცი „უკანა კარით სხვისი პოლიტიკის თავს მოწვევის“ ცდაში, რადგან, თურმე, კეშმარტ ქრისტიანებს პოლიტიკა კი არ სჭირდებათ, არამედ „ნუგეში და დამშვიდება“. როცა ქრისტიან-დემოკრატიული და ქრისტიან-სოციალური კავშირები შეიარაღების ესკალაციას მოითხოვენ, — ირონიულად შენიშნავს გაზეთი „უნწერე ცაიტი“, — შპრინგერის გაზეთი მათ ყოველნაირად უკმევს გუნდრუქს, რადგან თურმე მასობრივი მოსპობის არაადამიანური იარაღის წარმოება ყოფილა სწორედ „კეშმარტად ქრისტიანული“ საქმე...

დამნაშავეთა ქალაქის რეპორტი

რეპორტაჟის სტატისტიკაში თვალსაჩინო, თუმცა ფრიად არასახარბიელო სახელი დაიკვიდრა საზღვარგარეთის ნავსადგურმა კეიპტაუნმა, სადაც მილიონი მცხოვრებია. ამ ქალაქს კაპიტალისტურ სამყაროში რეკორდი აქვს დამყარებული თავის მოსახლეობასთან შეფარდებით დანაშაულობათა რიცხვის პროპორციით. პოლიციის სამმართველოს ცნობით, შარშანწინ ქალაქში მოხდა 14461 სისხლის სამართლებრივი დანაშაული, მათ შორის — 558 მკვლელობა, 5288 — ძარცვა, 8454 — იარაღით თავდასხმა.

გაზეთი „ზა რუბათომ“

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია: ზ. კაციაშვილი, ზ. ლოლუა,

გ. ლომიძე, ნ. მაღალაშვილი (მხატვ. რედ.), გ. ნიშნაშვილი, გ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ზირცხალავა, თ. ზელიძე
● ტექნიკური რედაქტორი მ. კახალაშვილი, ● საბირისა და იუზორის შერაღი „ნინავი“. ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 25/II-80 წ. ზელმოწერილია დასაბეჭდად 26/III-80 წ. ქაღალდის ზომა 70×1081/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 541 უმ 00652 ტირ. 160.100. ● თბილისი, პრ. რუსთაველი № 42, Сатирико-юмористический журнал «Ниянги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. ● თბილისი, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ნაბეჭდი თემების ავტორები: ზ. ლომიძე, გ. კახალაშვილი, გ. ლომიძე, ბ. სიხარულიძე, ალ. სამსონია, გ. ფირცხალავა, ს. ჯაფარიძე.